

საქართველოს კანონი

„საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატების შეგანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში (გამოქვეყნებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ N49, მუხ.377, 29.12.2006) შეგანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და უფლებამოსილებანი

1. სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ეს კანონი, „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“, „პოლიციის შესახებ“ და სხვა შესაბამისი კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.“

2. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურა
სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურა და ხელმძღვანელობის უფლებამოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.“

3. ამოღებულ იქნეს მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

4. მე-10 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სასაზღვრო პოლიცია ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დაკისრებულ მიმართულებებსა და ამოცანებს ასრულებს კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად ან სხვა უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტებთან ერთად მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.“

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგი დამეტოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. სასაზღვრო პოლიციისთვის ამ კანონით განსაზღვრული ამოცანების, მიმართულებებისა და სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიებების განხორციელება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შეიძლება დაევალოს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ სხვა დანაყოფებსაც.“

5. ამოღებულ იქნეს კანონის მე-6 თავი.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი